ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1260185

ნომერი: AR1216368

თარიღი : 01.05.2014

გაცემის თარიღი : 08.05.2014

გაცნობის თარიღი : 08.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო , N 51 / ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელ ყაჰრემანი გარგარი პ/ნ 01092000276
- თბილისი შუამთის ქ. N 1 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენი AR1216368 ელექტრონული განცხადება ქალაქ თბილისში, სექტორი – სამგორი, სადგური ლილო , N 51 /ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ, სადაც ითხოვთ შპს. „ნაქა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით N 01.19.15.005.048) დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსებას, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ შემდეგს:

1994 წლის 11 ნოემბრის ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლიდან გამომდინარე მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა საავტომობილო გზების მფლობელს უნდა შეუთანხმოს გზის ღერძიდან 100 მეტრის მოშორებით განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით. ,,საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის #104 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით 2009-2011 წლიდან დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გორი-სამტრედიის მონაკვეთის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთებისა, ფონიჭალა-მარნეული-გოგუთის საავტომობილო გზის ფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებული იქნა გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა.

ამასთან ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქალაქის ერთ–ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე, ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტუკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით. აღნიშნული საპროექტო ობიექტი თავისი ფორმით არაპროპორციულია და არ ჯდება საერთო იერსახეში. ამასთანავე აღნიშნულ ტერიტორიაზე, სადაც ითხოვთ შენობის განთავსებას, გვერდით უკვე გაცემულია შენობა/ნაგებობებზე თახნმობა და იმისათვის, რომ არ მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის ქაოტურად განვითარება სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა დამატებით კიდევ ერთი დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკამაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.